ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ62. 62250796**
თარიღი:**20/03/2025**

ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადების თაობაზე

ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონების შედეგად არ მოხდა აღნიშნული ქონების განკარგვა.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესები“-ს მე–2 მუხლის ,,ო“–ქვეპუნქტის და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 05 სექტემბრის №5/49768 მომართვის, ,,ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ, განმეორებითი პირობიანი ელექტრონული აუქციონისთვის საფასურის შემცირების (საფასური მცირდება 50%-ზე მეტით) თაობაზე“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 05 აგვისტოს №გ-63.63242182 განკარგულებისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 19 მარტის №08-622507874 მოხსენებითი ბარათის მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) პრივატიზების შესახებ

გამოცხადდეს პირობიანი განმეორებითი ელექტრონული აუქციონი.

1.2. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს 0 (ნული) ლარი.

1.3. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლარი.

1.4. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონზე ქალაქ სამტრედიაში, კალანდარიშვილის ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (2223.00 კვ.მ) მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.48.148) არსებული შენობა-ნაგებობების (№1 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 590.70 კვ.მ და №2 შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 24.00 კვ.მ) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 100 (ასი) ლარი.

1.5. პირობად განისაზღვროს, რომ:

1.5.1. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანა უნდა განახორციელოს აუქციონში გამარჯვებულმა პირმა.

1.5.2. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ.

1.5.3. შენობა-ნაგებობისა და მისგან წარმოშობილი ნარჩენების გატანის ვადად განისაზღვროს 30 (ოცდაათი) დღე. აღნიშნული 30 (ოცდაათი) დღიანი ვადა აითვალოს აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონის შედეგად განსაზღვრული ღირებულების სრულად გადახდის დღიდან.

1.6. განმეორებით პირობიან ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულმა პირმა ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში უნდა გადაიხადოს შეძენილი ქონების სრული ღირებულება.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი